თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დიდუბის რაიონის მაჟორიტარ
გივი ჩხარტიშვილის

ანგარიში

2025 წელი

მ ი მ ა რ თ ვ ა

ჩემთვის დიდი პატივია, თბილისის მუნიციპალიტეტის მეშვიდე მოწვევის საკრებულოს წევრის და დიდუბის რაიონის მაჟორიტარის რანგში წავრდგე ანგარიშით ჩვენი ამომრჩევლის წინაშე. მივაწოდო დეტალური ინფორმაცია ბოლო 12 თვის განმავლობაში გაწეული სამუშაოების შესახებ. რადგან, სწორედ მათ მიერ მონიჭებული მანდატი მაძლევს საშუალებას ვემსახურო ჩემს ქალაქს, ვემსახურო დიდუბის რაიონში მცხოვრები თითოეული ადამიანის ინტერესებს. და, ასევე, მათთან შეხვედრებზე მიღებული ინფორმაცია, საუბარი, დისკუსია, მაძლევს იმის საშუალებას, რომ ყველამ ერთად, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ქალაქი გახდეს უფრო თანამედროვე, მწვანე, სიცოხლით და სიყვრაულით სავსე მშვიდობის ქალაქი.

სარჩევი

საქმიანობა თბილისის საკრებულოში.....4
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია.....5-6
სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია 7-8
ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო” 9
შეხვედრები მოქალაქეებთან და მაჟორიტარის ბიურო 10-11
დიდუბის რაიონში განხორციელებული პროექტები 12-14
აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია 15
სპორტული, კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები.....16-17
სოციალური ღონისძიებები.....17

საქმიანობა თბილისის საკრებულოში

უკვე მეოთხე წელია წარმოვადგენ დიდუბის რაიონს თბილისის მეშვიდე მოწვევის საკრებულოში. ვარ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე. როგორც დიდუბის რაიონის მაჟორიტარი აქტიურად ვმონაწილეობ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა თუ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა საკრებულოს 14 სხდომა და დავესწარი 13 მათგანს. ამ სხდომებზე განვიხილეთ 104 დადგენილება და 742 განკარგულება. მივიღეთ ბევრი, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დედაქალაქისთვის და თბილისელებისთვის:

- დავამტკიცეთ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების პროექტი.
- საანგარიშო პერიოდში საერთო ჯამში 300 მილიონი ლარით გაიზარდა თბილისის ბიუჯეტი და ეს თანხები სხვადასხვა პროგრამებსა თუ პროექტებზე, ისევ თბილისელების საჭიროებებისა და პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილდა;
- “თბილისის მერიის „ტრანსპლანტაციის პროგრამის“ ფარგლებში, ძვლის ტვინის გადანერგვის კომპონენტს კიდევ ერთი კვლევის დაფინანსება დაემატება, რაც საქართველოში ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრი შექმნას შესაძლებელს გახდის.

ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

საანგარიშო პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომაზე, რომლის ძირითადი ამოცანა და ფუნქციაც თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა.

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2025 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარებულ იქნა 16 სხდომა. კომისიის სხდომებზე განვიხილეთ დღის წესრიგით გათვალისწინებული 342 საკითხი.

- საანგარიშო პერიოდში კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 219 ცვლილება (დადებითი 218, გადაიდო 1).

- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების 184 (181 დადებითი, 3 გადადებული).

- კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებულ იქნა - 71 პროექტი (69 დადებითი, 2 გადადებული) დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 25 პროექტი.

- „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში შევიდა ცვლილებების 7 პროექტი.

- კომისიის სამდივნოში განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ მოქალაქეთა და ორგანიზაცია-დაწესებულების განცხადება-წერილებზე მუშაობას (არქიტექტურული/ ურბანული საკითხები, შიდა კვარტალური გზების, ეზოების, სკვერების, ბავშთა სპორტული მოედნების მოწყობის, ქალაქის სანიტარული დასუფთავების, მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის, მოქალაქეთა საბინაო, სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესების საკითხებზე). საანგარიშო პერიოდში კომისიის სამდივნოში სულ შემოსული/განხილულია 76 წერილი/ განცხადება.

- ასევე კომისიის სხდომაზე განვიხილეთ იქნა 39 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

- თბილისის მასშტაბით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია იყო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში. მონაწილეობა მივიღე კომისიის სულ ჩატარდა კომისიის 13 სხდომა, განხილულია 20 საკითხი.

- კომისიის გასვლით სხდომაზე გავეცანით ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში არჩილ მეფის ქუჩა #2-ში მდებარე სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოებს.

- ამასთან, გასვლით სხდომაზე დიდი დიღმის მულტიფუნქციური კომპლექსის დასრულებული სამშენებლო სამუშაოების პროცესს გავეცანით და მიმდინარე აღჭურვის პროცესის შესახებ ინფორმაცია მოვისმინეთ.

- მხარი დავუჭირეთ დედაქალაქის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებებს, რომლის ○ მიხედვით გაიზარდა სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით რიგი

პროგრამების დაფინანსება; თანხები მოხმარდება სპორტულ ღონისძიებებს, წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოებას.

- კომისიის გასვლითი სხდომის ფარგლებში მოვინახულეთ მოსწავლეახალგაზრდობის სასახლის სამგორის ფილიალი, სადაც გამოიყო სპეციალური ადგილები სპორტული და სახელოვნებო აქტივობებისთვისაც.

- ცვლილება შევიტანეთ პროგრამაში - „სპორტი უფროსი თაობისთვის“, მოსახლეობის დაინტერესება და მომართვიანობა ძალიან მაღალია, რასაც სპორტული ცენტრების რაოდენობა ვერ სწვდება, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერ სარგებლობს აღნიშნული პროგრამით, ამიტომ არსებული ტარიფი - ერთი ვიზიტის ღირებულება 4 ლარი, შეიცვალა 6 ლარით, რომელიც ქალაქის ბიუჯეტიდან დაიფარება, რათა გაიზარდოს კერძო სპორტული ცენტრების პროგრამაში ჩართვით დაინტერესება.

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”

საანგარიშო პერიოდში, როგორც თავმჯდომარის მოადგილე აქტიურად ვმონაწილეობდი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში. რომელიც საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა.

ფრაქციის სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები და შეჯერებული პოზიცია წარედგინება საკრებულოს სხდომას. საანგარიშო ფრაქციის 19 სხდომიდან დავესწარი 16-ს და განვიხილეთ 37 საკითხი.

მათ შორისაა დედაქალაქის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

შეხვედრები მოქალაქეებთან და მაჟორიტარის ბიურო

შეხვედრა მოქალაქეებთან, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, საჭიროების მიხედვით დახმარება, შესაბამისი კომისიის თუ სამსახურის ჩართვა საკითხების გადაწყვეტაში უკვე ტრადიციაა. ყოველი ოთხშაბათი საკრებულოს დიდუბის მაჟორიტარის ბიუროში მოქალაქეთა მიღების დღეა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში მოქალაქეთა მიღება ხდება ნებისმიერ სამუშაო დღეს, მათ შორის თბილისის საკრებულოში.

სამაჟორიტარო ოლქში მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციის გარდა ჩემი ბიუროს თანამშრომლები ახორციელებენ თითოეული სატელეფონო ზარისა თუ სოციალურ ქსელში მოსული და გამოქვეყნებული შეტყობინების მონიტორინგს და კომპეტენციის ფარგლებში მათ ვუწევთ შესაბამის შუამდგომლობას.

მაჟორიტარის და ბიუროს კარი ყოველთვის ღიაა მათთვის, ვისაც დახმარება ან კონსულტაცია სჭირდება. არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს, ერთჯერადი დახმარება,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საჭიროებები, მწვანე ან მოსასვენებელი სივრცის მოწყობა, სახლის გამაგრება, სპორტული მოედნის მოწყობა, რეაბილიტაცია და ა.შ. ასევე, ბიუროს თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ვმართავთ გასვლით შეხვედრებს მოქალაქეებთან. ვეცნობით საკითხებს, რომელიც მოქალაქეებს აწუხებთ.

საანგარიშო პერიოდში მოვუსმინეთ, დავეხმარეთ ან შესაბამის სამსახურებთან ვუშუამდგომლეთ არაერთ მოქალაქეს. მათ შორისაა:

- ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- მედიკამენტებისთვის საჭირო სახსრებით უზრუნველყოფა;
- თერაპიული, ოპერაციული თუ სტაციონარში მკურნალობის ხელშეწყობა;
- უსახლკარო სტატუსის მინიჭება;
- ბინის ქირის გადასახადის დაფინანსება;
- სარიტუალო მომსახურება;
- სკვერის რეაბილიტაცია და სარეკრეაციო ზონის მოწყობა;
- სახლის სახურავის შეცვლა;
- შენობის გამაგრება და ლიფტის რეაბილიტაცია;

დიდუბის რაიონში განხორციელებული პროექტები

დიდუბის რაიონი 2025 წელსაც ერთ-ერთი ლიდერია მწვანე სივრცეების მოწყობის თვალსაზრისით. სპორტული მოედანი რეაბილიტირდა 13 მისამართზე. სკვერების მოწყობა და რეაბილიტაცია, დაზიანებული ელემენტების შეკეთება 127 მისამართზე განხორციელდა. ჩვენი რაიონის კიდევ უფრო გამწვანება კვლავ პრიორიტეტად რჩება.

ამასთანავე განვახორციელეთ არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი:

- საგზაო ინფრასტრუქტურა 22 797.90 კვ.მ. ფართობზე მოწესრიგდა (2 680 820 ლარი)
- სრულად მოეწყო 25 მოსასვენებელი სივრცე (239 711 ლარი);
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა 127 სკვერს (1 314 200 ლარი)
- 13 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია (298 650 ლარი)
- მოეწყო 1 სპორტული მოედანი (239 750 ლარი)
- მიწისქვეშა კომუნიკაცია 8 მისამართზე მოწესრიგდა (420 840 ლარი);
- რაიონის ტერიტორიაზე დაირგო 1098 ხე-მცენარე (38 537 ლარი);

- ❖ განხორციელდა 102 ავტოფარეხის დემონტაჟი (130 000 ლარი)
- ❖ დაირგა 1282 ძირი ბუჩქი (173 234,72 ლარი) 71 ხე (23393,28 ლარი)

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში -125 პროექტი განხორციელდა (3 088 500 ლარი);

• წყალარინების ქსელი 24 მისამართზე მოწესრიგდა
• ავარიული შენობები 4 მისამართზე გამაგრდა
• სახურავების/წყალსაწრეტების რეაბილიტაცია 35 მისამართზე განხორციელდა
• ლიფტების რეაბილიტაცია და მოწყობა 38 მისამართზე ჩატარდა
• სადარბაზოების რეაბილიტაცია, კიბე/ჭიშკარი/კარი 24 მისამართზე განხორციელდა

მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები მოქალაქეებთან საპარკინგე სივრცის მოწესრიგების, კორპუსის მიმდებარედ რამდენიმე სკვერის რეაბილიტაციის და მწვანე საფარის გაზრდის საკითხებზე. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა იყო ბელიაშვილის #68ბ კორპუსის მოსახლეობასთან. ასევე, ერთ-ერთი საკითხი, რაზეც ადგილობრივი მოსახლეობა ყურადღებას ამახვილებს - არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ადგილას გამოყოფა.

დიდუბის რაიონში გაიხსნა N19 საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობა. განხორციელდა ბაგაბაღის ძველი შენობის დემონტაჟი, მის ნაცვლად კი სრულიად ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შენობა აშენდა, სადაც უზრუნველყოფილია ბავშვთა უსაფრთხოების ყველა მოქმედი სტანდარტი. N19 საბავშვო ბაგა-ბაღში პირველი ივლისიდან, „საგაზაფხულო ბაღი“ ფუნქციონირებს, სადაც დაახლოებით 20000-მდე ბავშვი მიიღებს სწავლა-განათლებას.

აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია

წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის ბოლო ეტაპი, რომელიც ძირითადად კეთილმოწყობის სამუშაოებს მოიცავდა, დასრულებულია.

წერეთლის გამზირზე ჩატარებული რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები მოიცავდა მიწისქვეშა კომუნიკაციების განახლებას, საჰაერო სადენების მიწისქვეშ განთავსებას, ტროტუარების, უსაფრთხოების კუნძულების, გარე განათების ქსელისა და ასფალტის საფარის მოწყობას, ლედ ლამპიონების მონტაჟს, მოსაცდელებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზოლების მოწყობას, მიწისქვეშა ურნების განთავსებას. რამდენიმე დღეში დასრულდება გამწვანების სამუშაოებიც.

სპორტული, კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები

ცხოვრების ჯანსაღი წესის, სპორტის პოპულარიზაცია და კულტურული ღონისძიებები კვლავ რჩება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად. დიდუბის რაიონში, 2025 წლის მანძილზე ამ ტიპის ღონისძიებებზე უკვე დაიხარჯა 337ათას 762 ლარი. პროგრამების ფარგლებში, სპორტი ყველა ეზოში და სპორტი ჯანმრთელობისთვის ეწყობა სპორტული მოედნები ან რეაბილიტაცია უტარდება უკვე არსებულ ინფრასტრუქტურას. იმართება სპორტული ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას.

პროგრამების ფარგლებში შეიცვალა დაზიანებული მავთულბადეები, დამონტაჟდა კალათბურთის ახალი ფარები, მოწესრიგდა ფეხბურთის კარები, შეიღება მოედნის კარკასები.

სოციალური ღონისძებები

2025 წელს დიდუბის რაიონში სოციალური მიმართულებით სხვადასხვა სახის დახმარებები გაიცა, მათ შორის:

- უფასო სასადილოებით მომსახურება გაეწია 2200 ბენეფიციარს (908 820 ლარი)
- ქირით უზრუნველყოფა 186 ოჯახი (698 563 ლარი)
- მედიკამენტები- 1712 ბენეფიციარი (358 576 ლარი)
- ოპერაცია და სხვა სამედიცინო მკურნალობის დაფინანსება 996 ბენეფიციარი (341 890 ლარი)
- მიზნობრივი ფინანსური დახმარება 1574 ბენეფიციარი (501 765 ლარი)
- საწვავი ხის მასალა- შეშა 51 ოჯახი (17 316 ლარი)
- სარიტუალო მომსახურება 87 ბენეფიციარი (49 306 ლარი)
- სააღდგომო ნობათი 3100 ბენეფიციარი (208 630 ლარი)

საკრებულოს წევრი

გივი ჩხარტიშვილი